



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კანდელაკი ალექსანდრე (სანდრო) იოსების ძე



ალექსანდრე (სანდრო)  
კანდელაკი

კანდელაკი ალექსანდრე (სანდრო) იოსების ძე (6. X. 1893, ნიჩბისი, ახლანდ. მცხეთის მუნიციპალიტეტი, – 21. X. 1959, მცხეთა), ფალავანი. გამოირჩეოდა განსაკუთრებული ფიზიკური ძალით. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. დემობილიზაციის შემდეგ მცხეთაში მუშაობდა რკინიგზაზე, პერიოდულად ჩამოდიოდა თბილისში და ცირკში გამართულ ჭიდაობაში იღებდა მონაწილეობას. დაახლ. ორი მეტრი სიმაღლის და 170 კგ წონის ფალავანს ხალხმა „ქართველი გოლიათი“ უწოდა. რეგულარული ჭიდაობა 1921-იდან დაიწყო თბილისის ესიკოვსკის ცირკში. კ-ს ბევრი ცნობილი მოჭიდავე ჰყავს დამარცხებული, მ. შ. თ. კოჟემიაკინი, ი. ზაიკინი, პ. ზაგორუიკო, გ. ლურიხი. აღსანიშნავია კ-ისა და ი. პოდდუბნის შერკინება. ისინი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ბაქოში (1923). ერთი შერკინება ფრედ დამთავრდა, ხოლო მეორე შეხვედრაში კ-მა გაიმარჯვა. 1921–30 კ. უფრო კლასიკურ ჭიდაობას მისდევდა; მას კლასიკური ჭიდაობის ილეთები საგანგებოდ არ ჰქონდა შესწავლილი, თუმცა განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემების წყალობით მაინც იმარჯვებდა. გადაღებულია ქართულ ფილმებში: „ხანუმა“ (1926), „ჯანყი გურიაში“ (1928), „უკანასკნელი ჯვაროსნები“ (1933), „ქაჯეთი“ (1936), „მეგობრობა“ (1940), „ქაჯანა“ (1941). დაკილდობულია საპატიო ნიშნის ორდენით. 1976 მცხეთაში გაიხსნა კ-ის ძეგლი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი).